ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78. 78232639**

თარიღი:**20/09/2023**

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში

გ. მაისურაძის ქუჩა N4 -ში (ყოფილი ბაგა-ბაღი, ს/კ 88.18.26.211)

ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად მისაღები მასალების,

განმეორებითი ელექტრონული აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი

ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა“, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის N18 და N19 განკარგულებების და ონის მუნიციპალიტეტის მერის Nბ78.7823236001 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ონში გ. მაისურაძის ქუჩა N4-ში (ყოფილი ბაგა-ბაღის, ს/კ 88.18.26.211) ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის.

2. საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 50%-ით.

3. დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართის (N1) შესაბამისად.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადების განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში(მის: ქ. ამბროლაური, დ.აღმაშენებლის ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი